



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/52

ქ. თბილისი

26 ნოემბერი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების 2021 წლის საშტატო განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კარლო კოპალიანის 2021 წლის 25 ნოემბრის №05-01/13 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების საშტატო განრიგებში შესატანი ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 25 ნოემბრის №05-01/13 წერილით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული ცვლილებები ამოქმედდეს 2021 წლის 1-ლი ნოემბრიდან, ხოლო დამხმარე პერსონალის – 2021 წლის 1-ლი დეკემბრიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოკიძე